დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს კავკასიის უნივერსიტეტისათვის ტურიზმის სააბაკალავრო (ინგლისურენოვანი) და სამთო ტურიზმის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგარმების დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო **წევრები:** გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო თინათინ გაბრიჩიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის რეზიუმე

ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 2020 წლის 23 ივნისის MES 2 20 0000508309 ბრძანების შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტში მიმდინარე წლის 6 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

- დავით სიხარულიძე (თავჯდომარე)
- გოჩა თუთბერიძე (წევრი)
- თინათინ გაბრიჩიძე (წევრი)

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა კავკასიის უნივერსიტეტის მიერ „ტურზიმის“ საბაკალავრო საგანამანათლებლო და „სამთო ტურიზმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამების ავტორიზებულ რეჟიმში დამატების მიზნით შეფასებას.

ვიზიტი 2020 წლის 6 ივლისს განხორციელდა და კეთილგანწობილ სამუშაო გარემოში წარიმართა. ვიზტის პროცესის მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში ელეტრონული საკომუნიკაციო საშუალების ,,Zoom” -ის გამოყენებით წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა კავკასიის უნივერსიტეტის ზედა რგოლის, ადმინისტრაციული ერთეულების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და კავკასიის ტურიზის სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ტურიზმის საბაკავრო და სამთო ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პოტენციურ დამსაქმებლებსა და პარტნიორებს, უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამის სტუდენტებს.

ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისაგან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის მიწოდება კავკასიის უნივერსიტეტმა დროულად და სრულად უზრუნველყო.

ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნიდან გამომდინარე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისობა ავტორიზაციის I (1.1 და 1.2), II (2.2, 2.3); III (3.1, 3.2 და 3.3), IV (4.1 და 4.2), V (5.1 და 5.2), VI (6.1, 6.2, 6.3) და VII (7.1, 7.2, 7.3 და 7.4) სტანდარტებთან. შესაბამისად, დასკვნაშიც მხოლოდ ამ სტანდარტებთან მიმართებაშია საუბარი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ შეფასდა მეორე სტანდარტის 2.1 კომპონენტი.

- **შეფასების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს რესურსი ტურიზმის ინგლისურ ენოვანი საბაკალავრო და სამთო ტურიზმის ინგლისურ ენოვანი სამაგისტრო პროგრამის ავტორიზაციის რეჟიმში დამატებისათვის.**

საუკეთესოპრაქტიკა

- კავკასიის უნივერსიტეტში შემუშავებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ეფექტური მონიტორინგისთვის სპეციალურ პროგრამა - „სტრატეგიული

განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროგრამა“-, რომლის საშუალებით ხდება დამტკიცებული სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახული ინფორმაციის გადატანა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ეფექტური მონიტორინგისთვის.

რეკომენდაციები

1. გაძლიერდეს და მკაფიოდ განისაზღვროს სკოლების ჩართულობა და როლი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებში, პროგრამის შეფასების პროცესში;
2. დაწესებულებამ მიმართოს ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით კი აკადემიური პერსონალის ჩართულობისა და მონაწილეობის მაჩვენებელის გაზრდისთვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესებში.
3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმები, კერძოდ, სხვადასხვა ტიპის დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული შესაძლო სანქციები, რაც გაზრდის დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას პროცესის შესახებ და მეტ სიცხადეს შესძენს დისციპლინურ წარმოებასა თუ წარმოებისას მიღებულ გადაწყვეტილებებს.
4. რეკომენდირებულია გაძლიერდეს საგანმანათლებლო (სამაგისტრო და საბაკალავრო) პროგრამების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების, კერძოდ აკადემიური პერსონალის ჩართულობა.
5. რეკომენდირებულია გადამუშავდეს სამოგზაურო ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების ,,ტურიზმის ეკონომიკა, სტატისტიკა ბიზნესში, ტურიზმის მარკეტიგი, ტუზრიმის სტრატეგიული მენეჯმენტი, ტურიზმის კვლევის მეთოდები, Destination Development and Management“ სილაბუსები და მოხდეს მკაფიო გამიჯვნა საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსებისაგან სწავლის შედეგების, მიზნების, გამოყენებული ლიტერატურისა და შინაარსის სირთულის მიხედვით და უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო დონესთან შესაბამისობა.
6. რეკომენდირებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრების სწავლის შედეგების იმგვარად ფორმულირება, რომ გამარტივდეს სწავლის შედეგების გაზომვა და ასევე მათი შეფასება.
7. რეკომედნირებულია გამოყენებული ლიტერატურის განახლება როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამისათვის
8. რეკომენდირებულია საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სასტუმროში, ტურისტულ კომპანიაში ან სხვა ტურისტულ ორგანიზაციაში პროფესიული პრაქტიკის შეთავაზებით პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერება.
9. რეკომენდირებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის სასწავლო კურსის შეფასების სისტემის შემუშავებისას გათვალისწნებულ იქნას კონკრეტული კურსის სპეციფიკა.
10. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გაძლიერება კვლევის გამცდილების და შესაბამისი კვალიფიკაციის (დოქტორის აკადემიური ხარისხი) მქონე პირებით.
11. პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლება უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის აფილირებული და აკადემიური პერსონალის მიერ;
12. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება მათი უფლებების, ისევე როგორც უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ;

13. უცხოელი სტუდენტების ხელშეკრულებაში, სასურველია აისახოს სტუდენტთა უფლება, ისარგებლონ უნივერსიტეტის დაფინანსებით, როგორც ეს არის განსაზღვრული ქართველი სტუდენტების ხელშეკრულების შემთხვევაში. ამასთან, ორივე ხელშეკრულებაში აისახოს გამოცდის გადაბარების ღირებულება.
14. რეკომენდირებულია როგორც უნივერსიტეტის, ასვე, სგანამანათლებლო პროგრამების ბიუჯეტებში მკაფიოდ განისაზღვროს ინტერნაციონალიზაციის აქტივობები.

რჩევა

1. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმამ ასახოს ის მექანიზმები და კრიტერიუმები, რაც გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას.
2. სასურველია სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულ იქნას ბლუმის ტაქსონომია.
3. დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნულ პროგრამაში ჩართული პერსონალის ტრენინგი სასწავლო კურსის მიზნების და სწავლის შედეგების ფორმულირების, სწავლა/სწავლების და შეფასების ფორმების შერჩევის და ა.შ. შესახებ.
4. სასურველია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესები იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორც ამას მოცემული სტანდარტის კომპონენტი მოითხოვს;
5. სასურველია, დაწესებულებამ დანერგოს სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი სერვისებითა და მხარდაჭერის ღონისძიებებით მათი კმაყოფილების შეფასების სისტემა, ასევე უკუკავშირის მექანიზმი სტუდენტებისთვის შედეგების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში და ხელს შეუწყობს სერვისების მუდმივ გაუმჯობესებას.
6. სასურველია საბიბლიოთეკო სივრცის გაფართოება რათა საგამოცდო სესიების პერიოდში სტუდენტებს მიეწოდოთ შეუფერხებელი მომსახურება.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐

2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე)

დავით სიხარულიძე

2. სახელი, გვარი (წევრი)

გოჩა თუთბერიძე

3. სახელი, გვარი (წევრი)

თინათინ გაბრიჩიძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა ,,კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება. მისიაში მკაფიოდ ჩანს უნივერსიტეტის კვლევაზე ორიენტირებულობა. უნივერსიტეტის მისიის განცხადებით განსაზღვრულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების როლი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. მისიის განაცხადში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის როლი ცოდნის შექმნასა და გავრცელებაში და უნივერსიტეტის როლი საზოგადოების აქტიური წევრების განვითარებაში, აგრეთვე სტუდენტების პირადი განვითარების ხელშეწყობასა და შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში. მისიის განაცხადი ასახავს ინსტიტუციის ფოკუსირებას სწავლასა და კვლევაზე. მისია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გაზიარებულია საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის და ასევე, უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული საკუთარ საქმიანობას წარმართავს სწორედ მისიაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის. აღნიშნული ნათლად გამოიკვეთა უნივერსიტეტის სხვადსხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ინტერვიუირების დროს. მისიიდან გამომდინარე შემუშავებულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის პრიორიტეტული მიმართულებებია: • სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა • სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება • ინტერნაციონალიზაცია. მისიაში მკაფიოდ არის გამოკვეთული უნივერსიტეტის როლი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე და ითვალისწინებს ცოდნის შექმნის პროცესს და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრნველყოფას. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტში შექმნილია 11 სკოლა მათ შორის ტურიზმის სკოლა, რომლის ფარგლებში ხორციელდება ტურიზმის საბაკალავრო (ინგლისურ ენოვანი) და სამთო ტურიზმის სამაგისტრო (ინგლისურ ენოვანი) პროგრამები. ტურიზმის საბაკალავრო და სამთო ტურიზმის სამაგისტრო პროგრამები არის ინგლისურ ენოვანი და ფოკუსირებულია არა მხოლოდ ადგილობივ ბაზარზე, არამედ საერთაშორისო ბაზრებზეც, რაც ხელ უწყობს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული

გეგმის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმის აქტივობები ერთმანეთთან არის დაკავშრებული და აღნიშნული პროგრამების დანერგვა და განხორციელება წარმოდგენს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობას და დაკავშირებულია დანარჩენ აქტივობებთან, რომელიც მთლიანობაში ემსახურება ამ პრიორიტეტების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • კავკასიის უნივერსიტეტის მისია, ხედვა • კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი: https://cu.edu.ge/ka/about-us/cu-campus • უნივერსიტეტის ადმინისტრაციათან გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
2019-2020 აკადემიურ წელს შემუშავდა კავკასიის უნივერსიტეტის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 3 წლიანი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის შერჩეულ იქნა სტრატეგიული რუკა - დაბალანსებული შედეგების Strategic Map – Balanced Scorecard-ის მოდელი. მომდევნო 7 წლისათვის კავკასიის უნივერსიტეტიმა გამოყო 3 ძირითადი სტრატეგიული მიმართულება (პრიორიტეტი): • სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა • სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება • ინტერნაციონალიზაცია. კავკასიის უნივერსიტეტის მიზნები გამომდინარეობს მისი მისიიდან, მისი საქმიანობის პრიორიტეტებიდან, რომელიც არის მიღწევადი, დროში გაწერილი და მათი განხორციელების

შედეგები გაზომვადია, კერძოდ კავკასიის უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახულია მისიიდან და საქმიანობის პრიორიტეტულლბიდან გამომდინარე მიზნები და ამოცანები. სამოქმედო გეგმაში მომდევნო სამი წლის აქტივობები არის გაწერილი. უნივერსიტეტს შემუშავებულია აქვს SWOT ანალიზი, ანალიზის პროცესი მოიცავდა შემდეგ ძირითად ეტაპებს: კვლევის მიზნის განსაზღვრას, სამიზნე ჯგუფის განსაზღვრას, კითხვარის შექმნას, საპილოტე გამოკითხვის ჩატარებას, კითხვარის მოდიფიცირებსა, გამოკითხვის ჩატარებას, შედეგების ანალიზს, შედეგებიდან გამომდინარე პირველადი სტრატეგიული ამოცანების, ჩამოყალიბებას.

სტატეგიული რუკა მოიცავს შემდეგ ნიშნულებს:

- ფინანსური ნიშნული, რომელსაც გააჩნია სამი სტრატეგიული ამოცანა:
- მომხმარებელთა ნიშნული, (რომლებიც ფოკუსირებულია სტუდენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე), და გააჩნია 6 სტრატეგიული ამოცანა;
- პროცესების ნიშნული, 13 სტრატეგიული ამოცანით. პროცესების ნიშნულში გაწერილია სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც მიმართულია უნივერსიტეტის გამართული ფუნქციონირებისთვის. პროცესების ნიშნულის ამოცანებია საგანმანათლებლო, კველევითი საქმიანობის, სტუდენტური სერვისების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამუშაო პროცესების სრულყოფა.
- რესურსების ნიშნული, რომელიც მოიცავს 8 სტრატეგიულ ამოცანას, რესურსების ნიშნულში გაწერიალი სტრატეგიული ამოცანები, რომელიც ეხება იმ ძირითად რესურსებს, რაც საჭიროა საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების გამართული მიმდინარეობისთვის. ამ ნიშნულში განისაზღვრა რვა ძირითადი სტრატეგიული ამოცანა.

თითოეული სტრატეგიული ამოცანისათვის გაწერილია მიღწევის ძირითადი ინდიკატორები (KPI). ცალკეული ინდიკატორისათვის განისაზღვრება საზომი. რომელიც შეაქვთ უნივერსიტეტში დანერგილ პროგრამულ პაკეტში. პროგრამული პაკეტი ცალკეული ფუქნციონალური განყოფილებისათვის დაგეგმულ მდგომარეობას უდარებს ფაქტიურ მდგომარეობასთან, შესაბამისად ვლინდება გადახრა, რასაც მოჰყვება რეაგირება.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კავკასიის უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმა (2020/21-2022/23 აკადემიური წლები) შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე. სამოქმედო გეგმაში პროცესების ნიშნულის ერთ-ერთი ამოცანაა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება. ამ ამოცანის ერთ-ერთი აქტივობაა უცხოენოვანი საბაკალავრო პროგრამის შექმნა. ასევე რესურსების ნიშნულში გაწერილია ტურიზმის ინგლილსურ ენოვანი სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების შემუშავება.

გარდა ამისა, ამ ნიშნულების ფარგლებში განსაზღვრულია ამოცანები, რომელიც ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას, კერძოდ:

სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში ჩართულობის გაზრდა, რომლის პასუხიმგებელი რგოლია უნივერსიტეტის სკოლები მათ შორის ტურიზმის სკოლა.

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სტუდენტების დონეზე, რომელიც ეხება უნივერსიტეტის ყველა სკოლას და პროგრამას. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი.

კვლევითი საქმიანობის გაძლიერების ხელშეწყობის ფარგლებში დაგეგმილია სკოლების, მათ შორის ტურიზმის სკოლის მიერ სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება.

ყველა ზემო აღნიშნული ღონისძიება არის მცირე ჩამონათვალი იმ აქტივობების, რომელიც უნდა განხორციელდეს მომდევნო სამი წლის განმვლობაში და რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის

პრიორიტეტებს, ხოლო პრიორიტეტების ფორმირება მოხდა უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს ოთხ ეტაპს. ინფრომაციის ორგანიზება, შესრულებული სამუშაოს შეფასება, უკუკავშირი და ანგარიშის მომზადება და კორექტირება. სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი სამოქმედო გეგმას აფასებს წელიწადში ერთხელ ყოველი აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულებისას. მონიტორინგის ეტაპზე ხდება სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შედეგად მიღწეული სამიზნე ნიშნულების დადარება დაგეგმილთან. კავკასიის უნიერსიტეტს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში. კერძოდ 2017-2020 წლებში განხორციელდა უამრავი სოციალური, სპორტული, ინტელექტუალური აქტივობები და 2020-2021 წლისათვის დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:საგანმანათლებლო და ინტელექტუალურ აქტივობებს, სპორტულ აქტივობებს, სოციალურ და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისკენ მიმართულ აქტივობებს, კულტურულ და შემოქმედებით აქტივობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი:https://cu.edu.ge/ka • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • კავკასიის უნივერსიტეტის შემუშავებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ეფექტური მონიტორინგისთვის სპეციალურ პროგრამა - „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროგრამა“-, რომლის საშალებით ხდება დამტკიცებული სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახული ინფორმაციის გადატანა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ეფექტური მონიტორინგისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას,

ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
დაწესებულებაში დანერგილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება მისი საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით და უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას. ჯგუფი გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის საქმიანობის წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს დეპარტამენტის მიერ წლის მანძილზე განხორციელებულ აქტივობებსა და საქმიანობას, აღსანიშნავია ხარისხის დეპარტამენტის მიერ გაწეული შრომა, ანგარიშში წარმოდგენილია უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიმართულების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, გამოკვეთილი ტენდენციები და რეკომენდაციები. სისტემატურად ტარდება და ანალიზდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის გამოკითხვები და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე კავკასიის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და მისი ეფექტიანობის შეფასება“, რომელიც ითვალისწინებს სწავლა-სწავლების, კვლევის, მართვის/მენეჯმენტის, სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის, სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებას, განსაზღვრავს ხარისხის კულტურის კონცეფციასა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას. დოკუმენტის მიხედვით, თითოეული კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ეტაპზე მხედველობაში მიიღება წინასწარ დადგენილი შეფასების ინდიკატორები. სწავლა-სწავლების, კვლევის და მართვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება რესურსების, პროცესების ეფექტიანობის და შედეგების შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები (მუხლი 2, პუნქტები 2.5 და 2.6). დოკუმენტი განსაზღვრავს ისეთ შეფასების ინდიკატორებს, როგორიცაა: პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სასწავლო და კვლევითი კომპონენტების რაოდენობასთან; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დონე (საშუალო GPA პროგრამების და სწავლების წლის მიხედვით); პროგრამაზე სტუდენტთა განთესვისა და შენარჩუნების თანაფარდობა. თუმცა, აღნიშნული ინდიკატორებისთვის არ არსებობს წინასწარგანსაზღვრული საზომი ან/და სამიზნე ნიშნული, შეფასება და შეფასების შედეგებზე დაკვირვება ხდება ინდივიდუალურად. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა უნივერსიტეტში ცენტრალიზებულია და წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში. უნივერსიტეტში ვიზიტის მომენტისთვის ფუნქციონირებდა 10 სკოლა და 40 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები სკოლის დონეზე ნაწილობრივ დელეგირებულია პროგრამის ადმინისტრაციულ დირექტორზე, თუმცა მისი ფუნქციები შემოიფარგლება მეტად ტექნიკური საკითხებით და ის არ არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულ შიდა შეფასებაში. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცესების გაძლიერების, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის, აუცილებელია უნივერსიტეტის სკოლების

დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში სკოლების ჩართულობას.

უნივერსიტეტში პერიოდულად ხორციელდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა მონიტორინგის შედეგები, შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი იყო პრობლემური საკითხები.

პერსონალის (ლექტორების) შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი იყენებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

რაც შეეხება დაინტერესებული პირების ჩართულობას წარმოდგენილი საგნამანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, ისევე როგორც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებში, ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, ამ მიმართულებით მეტი ძალისხმევის მიმართვაა საჭირო. კერძოდ, პროგრამების შემუშავების პროცესში აქტიური მონაწილეობა არ დადასტურდა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს, ისინი ძირითადად საკუთარი სასწავლო კურსის სილაბუსის შედგენაზე იყვნენ პასუხისმგებელი და არ აქვთ სათანადო ინფორმაცია მაგალითისთვის, პროგრამების სწავლის შედეგების, ან კიდევ კურიკულუმის რუკების შესახებ, რომელიც პროგრამების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია და მნიშვნელოვანია მისი შემუშავება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით. იგივე საკითხი გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეულ პერსონალთან, წარმოდგენილი პროგრამების სუტდენტების/კურსდამთავრებულების პოტენციური დამსაქმებლები, ტურიზმის სკოლის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებიც მონაწილეობდნენ ინტერვიუში, არ იცნობდნენ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთაც აფასებდა ექსპერტთა ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა ხელს შეუწყობს დაწესებულებას გაზარდოს ხარისხის კულტურა, თანამონაწილეობითი პროცესი კი დაეხმარება დაწესებულებას შრომის ბაზრის თუ სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შემუშავებაში, მათი მოსაზრებების და პოზიციების გათვალისწინების გზით.

კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასება ხორციელდება წინასწარშემუშავებული ფორმის მიხედვით.ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა პროგრამის შეფასების ყოველწლიური ფორმა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფორმა, ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ყოველწლიურ შეფასებას - მისი პროგრესის ასახვას ან/და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას და შესაძლოა, უფრო სასარგებლო იყოს ერთჯერადი, პირველადი შეფასებისთვის. კერძოდ, ფორმაში წარმოდგენილია ისეთი ტიპის შეფასების კრიტერიუმები, როგორიცაა, მაგალითად - შესაბამისობაშია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის მისიასთან, რამდენად სწორად არის კრედიტები განაწილებული, შესაბამისობაშია თუ არა შეფასების სისტემა მინისტრის ბრძანებასთან, არსებობს თუ არა პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვ.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმით, რაც დასტურდება როგორც შეფასების შედეგებით, ასევე ინტერვიუებით, სასურველია ის კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები, რაც გამოიყენება პროგრამების შეფასებისას, ასახული იყოს პროგრამის შეფასების ფორმაში. ამით

პროცესი უფრო ეფექტიანი გახდება და საგანამანთლებლო პროგრამის ყოველწლიურ შეფასებას სისტემატიზებული სახე მიეცემა. მაგალითისთვის, პროგრამის შეფასების ფორმამ შესაძლოა ასახოს აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, პერსონალის შეფასება და სხვ., ამ გზით გამოკვეთოს პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და უზრუნველყოს მისი პროგრესის შეფასება, ასევე პრობლემურ საკითხებზე დროული რეაგირების შესაძლებლობა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა ელექტორნული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და მექანიზმები. ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის, სტუდენტთა გამოკითხვას დაემატა კითხვები ელექტორნული სწავლების შესახებ. თუმცა, გამოკითხვის შედეგები დაწესებულებას ჯერ არ აქვს და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში არ არის ასახული ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული საკითხები დოკუმენტს დაემატება პირველი შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად. კავკასიის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს აუდიტორიების, ჯგუფების, ჯგუფებში სტუდენტთა საშუალო რაოდენობას, აუდიტორიების კვირეული გამოყენების მაჩვენებელს, საგანამანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობას. ამასთან, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის პროგნოზი მომავალი რამდენიმე წლისთვის, რომელშიც გათვლილია როგორც სტუდენტთა რაოდენობას, ასევე მათი მიღების, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და პროგრამის დასრულების საშუალო მაჩვენებელს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება; • ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წლიური საქმიანობის ანგარიში; • სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია; • აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი; • საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმა; • ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლის პროცესის აღწერა და პროცესის შეფასებისთვის შემუშავებული კითხვები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • გაძლიერდეს და მკაფიოდ განისაზღვროს სკოლების ჩართულობა და როლი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებში, პროგრამის შეფასების პროცესში; • დაწესებულებამ მიმართოს ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით კი აკადემიური პერსონალის ჩართულობისა და მონაწილეობის მაჩვენებელის გაზრდისთვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესებში.

რჩევები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმამ ასახოს ის მექანიზმები და კრიტერიუმები, რაც გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

კავკასიის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ეთიკისა და ქცევის წესები, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის. დაწესებულებაში ფუნქციონირებს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისია. კომისიის საქმიანობას არეგულირებს დებულება, რომელიც განსაზღვრავს კომისიის ფუნქციას, შემადგენლობას, უფლებამოსილებას, კომპეტენციას, სტუდენტისა და პერსონალის უფლებებს დისციპლინური წარმოებისას. კომისია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური სახდელის შესახებ, თუმცა უნივერსიტეტის პრეზიდენტს აქვს უფლება არ დაეთანხმოს კომისიის გადაწყვეტილებას და მას ხელახლა დაუბრუნოს საკითხი განსახილველად.

უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი, რომელშიც გაწერილია აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევისა და პლაგიატის ძირითადი სახეები, პლაგიატის პრევენციისთვის გამიზნული ქმედებები და სხვ. აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები სტუდენტებისთვის მოიცავს როგორც სიტყვიერ/წერილობით გაფრთხილებას, ასევე უფრო მკაცრ ზომებს, როგორიცაა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა თუ მოპოვებული ხარისხის ჩამორთმევა. პერსონალის შემთხვევაში ყველაზე მკაცრი სანქცია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტაა. აღსანიშნავია, რომ კოდექსში განსაზღვრულია ეთიკის კომისიის მიერ გასათვალისწინებელი დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოებები. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იქიდან გამომდინარე, რომ კოდექსით გათვალისწინებულია ისეთი სანქციები, როგორიცაა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, სასურველია აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსსა და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის კომისიის დებულებაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, თუ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის რა შემთხვევაში შეიძლება იქნას გამოყენებული ისეთი სანქციები, როგორიცაა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა თუ მოპოვებული ხარისხის ჩამორთმევა, პერსონალის შემთხვევაში კი - შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. დისციპლინური სახდელების გამოყენების პროცედურის უფრო მკაფიოდ

განსაზღვრა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებულობას და პროცესს მეტ სიცხადეს შემატებს. კავკასიის უნივერსიტეტს დანერგილი აქვს პლაგიატის დეტექციისა და პრევენციის ელექტრონული პროგრამა, რომლის გამოყენებაც დადასტურდა ტურიზმის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი საბაკალავრო ნაშრომები შემოწმდა პლაგიატის პროგრამაზე. 2019-2020 წელს უნივერსიტეტში ჩატარდა პლაგიატის შესახებ საინფორმაციო კამპანია, რომელშიც პერსონალთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა დისტანციური სწავლების დროს სტუდენტთა მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებით. დასკვნითი შეფასებები (გამოცდები) უნივერსიტეტში წარიმართა ჩვეული ფორმით, ხოლო სალექციო პერიოდში მიმდინარეობდა პროცესის მონიტორინგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი; • კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის დებულება; • კავკასიის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები; • ინტერვიუს შედეგები. •
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, დაწესებულებამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმები, კერძოდ, სხვადასხვა ტიპის დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული შესაძლო სანქციები, რაც გაზრდის დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას პროცესის შესახებ და მეტ სიცხადეს შესძენს დისციპლინურ წარმოებასა თუ წარმოებისას მიღებულ გადაწყვეტილებებს.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი. დამტკიცებული: ბრ.#07/01-27 14/09/2019. ამ წესის თანახმად შემუშავებულია ტურზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა და სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა. პროგრამის ხელმძღვანელთან და სკოლის დირექტორთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში დაიწყო ბაზარზე არსებული მოთხოვნით იდენტიფიკაციით, კერძოდ ისინი არნიშნავდნენ, რომ არსებობს მზარდი მოთხოვნა ტურიტულ პროდუქტებზე. ამას გარდა, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ,,კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის ინგლისურენოვანი პროგრამების შემოთავაზება განპირობებულია საქართველოში თუ მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებით და საჭიროებებით“. შრომის ბაზრის კვლევა მიმოხილვითი ხასიათისაა და ეყრდნობა შემდეგ წყაროებს: ,, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2018 წელს ჩატარებული ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა, კავკასიის უნივერისტეტის ტურიზმის საბაკალვრო პროგრამაზე მიღების დინამიკა. პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ანგარიშები და კვლევები პროფესიით დასაქმების მაჩვენებლების შესახებ“. სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში მეორადი მონაცემების ანალიზის გარდა, ტურიზმის სკოლამ ჩაატარა 11 ძირითად ტუროპერატორთან გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების ანალიზისას დადგინდა, რომ ტურიზმის ამ მიმართულებაზე მოთხოვნა არის მზარდი და აღნიშნული სფერო გამოირჩევა კვალიფიციური ინგლისურენოვანი კადრების სიმცირით. სწორედ ამ მოთხოვნაზე პასუხია ტურიზმის ინგლისურ ენოვანი პროგრამების დანერგვა და განხორციელება. ტურიზმის სკოლა ასევე აწარმოებს მოლაპარაკებებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან, კერძოდ ჩინეთთთან უცხოელი სტუდენტების მოზიდვი მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას ასევე ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავებისას მუდმივად თანამშრომლობდნენ და იზიარებდნენ დაინტერესებული მხარეების მოსაზრებას. თუმცა, აკადემიურ პერსონალთან გსაუბრების დროს, ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათი ჩართულობა ძირითადად სასწავლო კურსების სილაბუსების შედგენით შემოიფარგლებოდა და არ ჰქონდათ სათანადო ინფორმაცია მაგალითად, პროგრამების სწავლის შედეგების, ან კიდევ კურიკულუმის რუკების შესახებ, რომელიც პროგრამების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. უნივერსიტეტში, მათ შორის ტურიზმის სკოლაში პერიოდულად ხდება პროგრამების განახლება და განვითარება და ეს ძირითადათ განპირობებულია შრომის ბაზარზე არსებული

ცვლიელებებით, ასევე პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით.

კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესის (დამტკიცებულია: ბრ.#07/01-27 14/09/2019) მე-5 მუხლის 5.3, 5.4, 5.5 და 5.6 პუნქტების თანახმად პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს და სტუდენტს აძლევს პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას.
უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის გამოკითხვებს, კურსების შეფასებას, მონიტორინგისა და დასწრების ფორმას, როგორც მისი საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების საშუალებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://cu.edu.ge/ka
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაძლიერდეს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების, კერძოდ აკადემიური პერსონალის ჩართულობა.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას კავკასიის უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებით.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

ტურიზმის ინგლისურ ენოვანი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულია 8 სწავლის შედეგი. თითოეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრულია შეფასების ინდიკატორები. სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და განათლების საფეხურის დონეს. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართება და მათი მიღწევის შეფასების დონეების რუკა, რომელშიც მოცემულია სწავლის შედეგები და ის სასწავლო კურსები, რომლითაც ხდება სწავლის შედეგების მიღწევა. თუმცა, სწავლის შედეგების ფორმულირება უნდა მოხდეს იმგვარად რომ იყოს მეტად გაზომვადი. კერძოდ შესაძლებელია გამოყენებული იქნას სწავლის შედეგების ფომულირების ტაქსონომიები, რაც მათ შეფასებას უფრო მეტად გაამარტივებს. მაგალითად, სწავლის შედეგების ფორმულირებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბლუმის ტაქსონომია, რომლის გამოყენებით გამარტივდება სწავლის შედეგების სირთულის განსაზღრა და ასევე მათი შეფასება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება, როგორც პირდაპირი, ისე არაპირადპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასებისას ხორციელდება დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის საწვლის შედეგებთან მიმართებით.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:

1. საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები - 70 ECTS
2. დარგობრივი სავალდებულო საგნები - 125 ECTS
3. დარგობრივი არჩევითი/სავალდებულო საგნები - 60 ECTS

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის დარგობრივი სავალდებულო საგნები წარმოდგენილია სასწავლო კურსებით, რომელიც ემსახურება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ტურიზმის ბაკალავრი.

პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია 60 კრედიტის დარგობრივი არჩევითი საგნებით, რაც ემსახურება სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას;

ტურიზმის საბაკალვრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია, ის განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. პროგრამის ხელმძღვანელმა და სკოლის დირექტორმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროგრამის კატალოგი პერმანენტულად განახლებას ექვემდებარება.

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსების ანალიზისას ვხდებით გამოყენებულ ლიტერატურას, რომელიც საჭიროებს განახლებას. კერძოდ:

კორპორაციული კომუნიკაცია, თანამედროვე ტურიზმის განვითარება, დაცული ტერიტორიების მართვა, ელექტრონული ტურიზმი, ტურიზმის კვლევის მეთოდები, მენეჯმენტის საფუძვლები, ტურიზმის სტატისტიკა, სასტუმროს მენეჯმენტი, ბიზნეს კომუნიკაცია, ღონისსძებების მენეჯმენტი, კვებისა და სასმელების მენეჯმენტი, კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, სატრასპორტი ინდუსტრია ტურიზმში, ტურიზმის მდგრადი განვითარება; ბიზნეს გეგმის განვითარება.

სამთო ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამის დასახელებაა სამთო ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა, რომლის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ტურიზმის მაგისტრი. სამთო ტურიზმი სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია ოთხი მიზანი. მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია 12 სწავლის შედეგი, რომელიც არის რეალური და მიღწევადი. სწავლის შედეგების ფომულირებისას გათვალისწინებულია ბაზრის მოთხოვნები. თითოეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრულია ინდიკატორები. თუმცა, სწავლის შედეგების ფორმულირება უნდა მოხდეს იმგვარად რომ იყოს მეტად გაზომვადი. კერძოდ შესაძლებელია გამოყენებული იქნას სწავლის შედეგების ფომულირების ტაქსონომიები, რაც მათ შეფასებას უფრო მეტად გაამარტივებს. მაგალითად, სწავლის შედეგების ფორმულირებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბლუმის ტაქსონომია, რომლის გამოყენებით გამარტივდება სწავლის შედეგების სირთულის განსაზღრა და ასევე მათი შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება, როგორც პირდაპირი, ისე არაპირადპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასებისას ხორციელდება დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის საწვლის შედეგებთან მიმართებით.

სამთო ტურზიმის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია კურიკულუმის რუკა, რომელიც ასახავს თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები.

პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, საიდანაც:

დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები გათვალისწინებულია 85 ECTS კრედიტის ოდენობით. დარგობრივი არჩევითი/სავალდებულო სასწავლო კურსები გათვალისწინებულია 5 ECTS კრედიტის ოდენობით, რომელიც სტუდენტმა უნდა აირჩიოს პროგრამით შემოთავაზებული 15 ECTS კრედიტიდან. პროგრამა ასევე ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტის 30 ECTS მიღებას;

სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების ანალიზისას გამოვლინდა, რომ საბაკალავრო და საამაგისტრო პროგრამების ქვემოთ მოცემული 6 საგანი არის იდენტური და არ არის მკაფიოდ გამიჯნული ისეთი კომპონენტების მიხედვით, როგორიცაა: სწავლის მიზანი, სწავლის შედეგი, შინაარსი, ზოგიერთ შემთხვევაში შეფასების სიტემა, გამოყენებული ლიტერატურა. ამას გარდა, აღნიშნული სასასწავლო კურსები შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით არ შეესაბამება განათლების მეორე საფუხურს, (სამაგისტრო დონეს), რაც უზრუნველყოფს სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრებას,

1. ტურიზმის ეკონომიკა ისწავლება მაგისტრატურაზე და ბაკალავრიატზე, თუმცა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სილაბუსებში მოცემული შემდეგი კომპონენტები: სწავლის მიზანი, სწავლის შედეგები, გამოყენებული ლიტერატურა, შეფასების სისტემა, შინაარსი არის იდენტური.

2. ტურიზმის სტატისტიკა და კვლევის მეთოდები ისწავლება საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე ისწავლება ტურიზმის სტატისტიკა თუმცა სწავლის მიზანი, შედეგები, შეფასების სისტემა, გამოყენებული ლიტერატურა, შინაარსი არის იდენტური.

3. საბაკალავრო პრგრამაზე ისწავლება ტურიზმის მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრები. ხოლო მაგისტრატურის პროგრამაზე ისწავლება ტურზიმის მარკეტიგი, დასახელება არის განსხვავებული, თუმცა მიზანი, სწავლის შედეგები, გამოყენებული ლიტერატურა და შინაარსი არის იდენტური.

4. ტუზრიმის სტრატეგიული მენეჯმენტი ისწვლება როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამაზე. სწავლის მიზანი, სწავლის შედეგები, გამოყენებული ლიტერატურა და შინაარსი არის იდენტური.

5. ტურიზმის კვლევის მეთოდები ისწვალება მაგისტრატურაზე და კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები ისწვლება საბაკალავრო პროგრამაზე. თუმცა სწავლის მიზანი, შედეგი, გამოყენებული ლიტერატურა და შინაარსი იდენტურია.

6. Destination Development and Management (საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი) და Destination Planning Development and Management (სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი). სასწავლო კურსების დასახელება განსხვავებულია თუმცა სწავლის მიზანი, შედეგი, შეფსების სისტემა, და შინაარსი არის იდენტური.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სასწავლო კურსში შეთავაზებულია პრაქტიკული კომპონენტები, როგორიცაა შემთხვევის ანალიზი, პროექტის მომზადება და ა.შ ტურიზმის ქართულ ენოვანი პროგრამის სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს პრაქტიკული კოპონენტების სიმცირეზე. კერძოდ სასტუმროში ან ტურისტულ კომპანიაში სტაჟირების გავლით თვლიან რომ მეტ პრაქტიკულ უნარებს დაეუფლებიან. ამ მხრივ, ვფიქრობთ პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს უფრო მეტად კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე.

კავკსიის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროგრამის კატალოგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია უსდ- ის ვებგვერდზე.

კავკასიის უნივერსიტეტში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მეთოდოლოგია და განხორციელების წესი (დამტკიცებულია ბრ.#07/01-08 03/09/2019), რომლის მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზება და მათი შეუფერხებელი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში; მოცემული წესი შედგება 5 მუხლისაგან. აქედან, მე-2 მუხლი აწესრიგებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების გარემოებებს, მე-3 მუხლი აწესრიგებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობებს; მე-4 მუხლი - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ადმინისტრირებას;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა;
- სამთო ტურიზმის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა;
- კურიკულუმის რუკა
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი: https://cu.edu.ge/ka/about-us/development-plan-cu
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მეთოდოლოგია და განხორციელების წესი
- ინტერვიუს შედეგები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გადამუშავდეს სამთო ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების ,,ტურიზმის ეკონომიკა, სტატისტიკა ბიზნესში, ტურიზმის მარკეტიგი, ტუზრიმის სტრატეგიული მენეჯმენტი, ტურიზმის კვლევის მეთოდები, Destination Development and Management“ სილაბუსები და მოხდეს მკაფიო გამიჯვნა საბაკალავრო

პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსებისაგან სწავლის შედეგების, მიზნების, გამოყენებული ლიტერატურისა და შინაარსის სირთულის მიხედვით და უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო დონესთან შესაბამისობა. • რეკომენდირებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების იმგვარად ფორმულირება, რომ გამარტივდეს სწავლის შედეგების გაზომვა და ასევე მათი შეფასება. • რეკომედნირებულია გამოყენებული ლიტერატურის განახლება როგორც სამაგისტრო, ასევე საბაკალავრო პროგრამებისათვის. • რეკომენდირებულია საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სასტუმროში, ტურისტულ კომპანიაში ან სხვა ტურისტულ ორგანიზაციაში პროფესიული პრაქტიკის შეთავაზებით პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერება.
რჩევები: • სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებული იქნას ბლუმის ტაქსონომია.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
საბაკალავრო და სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამაში მოცემულია შეფასების სისტემა და შეფასების სისტემასთან დაკავშირებული არსებული რეგულაციები, რომელიც არის ნათლად გაწერილი. კერძოდ სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის

უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის კომპონენტში ვკითხულობთ, რომ ,,შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს.“ თუმცა, საბაკალავრო პროგრამის სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა სასწავლო კურსის სილბუსში შეფასების სისტემა არის იდენტური, მაგალითად შემდეგ სასწავლო კურსებში: კომპიუტერული უნარები 1,2; კალკულუსი, შესავალი ტურიზმში, ტურისტული ადგილების გეგოგრაფია, მენეჯმენტის საფუძლები, ტურისტის ქცევის აღქმა, მარკეტინგის საფუძლები, ფინანსური აღრიცხვა, ოპერაციათა მენეჯმენტი, შესავალი ტურიზმში, შესავალი მასპინძლობის მენემენტში, ტურისტული ადგილის დაგეგმვა და განვითარება, ტურიზმის პოლიტიკა, ტურიზმის მარკეტინგი, ტურიზმის სტატისტიკა და კვლევის მეთოდები, სასტუმრო მენეჯმენტი, ტურისტული კომპანიის მენეჯმნეტი, ბიზნეს კომუნიკაცია. ტურიზმის სტრატეგიული მართვა და ა.შ. რაც ნიშნავს იმას, რომ შეფასების ცალკეული მეთოდისათვის ქულის/წონის მინიჭებისას არ არის გათვალისწინებული საგნის სპეციფიკა. ასევე სამაგისტრო პროგრამის სილაბუსების ანალიზისას ვლინდება, რომ 15 სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების სისტემა არის იდენტური. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტის განსაზღვრა გვიჩვენებს თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, ასევე სილაბუსები ანალიზიდან ჩანს რომ ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭირვალე კრიტერიუმები. კერძოდ სილაბუსში მკაფიოდ არის გაწერილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. თითოეული შეფასების მეთოდისათვის მკაფიოდ არის გაწერილი კრიტერიუმები.

სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათი მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებების და გაუმჯობესების გზების შესახებ. სტუდენტებს აქვს ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემის შესახებ ასევე იცნობენ შეფასების სისტემასთან დაკავშირებული რეგულაციებს. უნივერსიტეტში მოქმედებეს შეფასების გასაჩივრების სისტემა რაც დასტურდება ტურიზმის სკოლის ტურიზმის ქართულოვან საბაკალავრო პროგრამის სტუდენტბთან გასაუბრებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სამთო ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.
- პროგრამის ხელმძღვანელტან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის შეფასების სისტემის შემუშავებისას გათვალისწნებულ იქნას კონკრეტული კურსის სპეციფიკა.

რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
კავკასიის უნივერსიტეტს გააჩნია პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებაზე პასუხიმგებელია დაწესებულების ადმინისტრაცია, რომელშიც შედის პერსონალის მართვის დეპარტამენტი. პერსონალის მართვის პოლიტიკა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ხედვასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სტრატეგიული გეგმის თნახმად, კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ დაწესებულება მიიჩნევს „უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების აკადემიურ და პრაქტიკულ გამოცდილებას“, ხოლო ღირებულებების ნაწილში დაწესებულება ასეთად მიიჩნევს „გარემოს, სადაც აკადემიური პერსონალი თავისუფალი იქნება ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში“.

კავკასიის უნივერსიტეტის დასაქმების პოლიტიკის უმთავრესი პრინციპია კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი შესაძლებლობებისა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება. დეკლარირებული დასაქმების პოლიტიკა ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს: სამართლიანობა, თანასწორობა, მრავალფეროვნება, გამჭვირვალობა.

პერსონალის მართვის დეპარტამენტის ფუნქციაა მოახდინოს საშტატო ერთეულების საჭიროების დროული ანალიზი. პერსონალის მართვის დეპარტამენტი სკოლის/დეპარტამენტის/სამსახურის ხელმძღვანელებთან ერთად აფასებს ახალი საშტატო ერთეულის საჭიროებას. კონკრეტული თანამდებობისათვის არსებობს სამუშაოს აღწერა, რომელიც გაწერილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებაში. კონკრეტული თანამდებობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პერსონალის მართვის დეპარტამენტი შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ერთად, შეიმუშავებს კვალიფიკაციისა და გამოცდილების მოთხოვნების ჩამონათვალს, რომლის საფუძველზეც ახდენს აპლიკანტის შეფასებას. ვაკანსიის განცხადებაში მოცემულია როგორც სამუშაოს ძირითადი პირობები, ისე კვალიფიკაციისა და გამოცდილების მოთხოვნათა ჩამონათვალი. კანდიდატების მოზიდვა ძირითადად ხდება ვაკანსიაზე განცხადების გამოქვეყნებით, რომლის განთავსებაც ხდება შესაბამის ვებ-პორტალებზე. კავკასიის უნივერსიტეტში საკონკურსო პროცედურა წარიმართება და რეგულირდება „აკადემიურ/სამეცნიერო, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ დებულებით.

პერსონალის მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის მიღების და შენარჩუნების ღონისძიებები. შენარჩუნების ნაწილში, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პროფესიულ განვითარებას, შიდასაუნივერსიტეტო კვლევით საგრანტო პროგრამებს, აკადემიური შვებულებას, უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას, ფუნქცია-მოვალეობების გადახედვას და განახლებას, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

კავკასიის უნივერსიტეტში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის ხელის შეწყობის ინსტიტუციონალურ დონეზე დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, შექმნილია კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომელიც გეგმავს, ანხორციელებს და კოორდინაციას უწევს ყველა იმ აქტივობას, რომელიც მიმართულია კავკასიის უნივერსიტეტის სკოლებში კვლევითი საქმიანობის გააქტიურების, ინტერნაციონალიზაციის და მასში რაც შეიძლება მეტი აკადემიური პერსონალის, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ჩართვის ხელშეწყობაზე. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი აგროვებს და რეგულარულად აახლებს ინფორმაციას კავკასიის უნივერსიტეტის ინსტიტუციური აფილირების მითითებით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ, ასევე, ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებში (ძირითადად სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი) უნივერსიტეტის სახელით წარდგენილი კვლევითი პროექტების შესახებ.

2019 წლის იანვრიდან კავკასიის უნივერსიტეტი მონაწილეობს Erasmus + -ის ფარგლებში დაფინანსებულ ორწლიან პროექტში „Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units / HERD“, რომლის იმპლემენტაციის ფარგლებში უნივერსიტეტს ექნება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული კვლევითი აქტივობების ანალიზისთვის პროგრამული უზრუნველყოფა.

კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, ასევე მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებულია კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი, რომლის თანახმად, წლის განმავლობაში ორჯერ - დეკემბერში და ივნისში ცხადდება პროექტების მიღება კვლევითი საქმიანობისთვის შიდა საუნივერსიტეტო

დაფინანსების მოსაპოვებლად. საკონკურსო კომისია კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების დეკანებისა და დარგის გარე ექსპერტების მონაწილეობით, არჩევს დასაფინანსებელ პროექტებს. უკვე დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი (პროგრამულ ნაწილში) და საფინანსო დეპარტამენტი (ფინანსურ ნაწილში).

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი. აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები, მათი საათობრივი დატვირთვა და შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის სხვა პირობები განისაზღვრება აკადემიურ პერსონალსა და კავკასიის უნივერსიტეტს შორის დადებული A1, A2, A3, A4a ან A4b ტიპის ხელშეკრულებით და ხელშეკრულების დანართებით. აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უსდ-სთან, ამ უსდ-ის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში. აფილირებული აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, დამხამარე, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესი მოიცავს საქმიანობის ერთწლიან ციკლს. ამასთან, სტუდენტები თავიანთ ლექტორებს ყოველსემესტრულად აფასებენ ელექტრონული ფორმით დადგენილი კითხვარის საფუძველზე. კითხვარი შედგება დახურული და ღია კითხვებისაგან. ღია კითხვები ქულით არ ფასდება. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ინახება სკოლაში და/ან ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში. სკოლის დეკანი, განზოგადებულ შედეგებს განიხილავს სკოლის საბჭოს სხდომაზე და ახდენს ინდივიდუალურად ლექტორებისთვის მიწოდებას და მიღებული შედეგების მართვას. შეფასება ანონიმურია და ხდება პირველ რიგში უკუკავშირი ლექტორებთან, ხოლო შემდგომ, არსებული შედეგების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

დაწესებულება ყოველწლიურად იკვლევს ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური პერსონალის კმაყოფილებას. ბოლო კვლევის (2020 წელი) შედეგად შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა გააძლიეროს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და დაგეგმოს უფრო მეტი და მრავალფეროვანი პროექტები, ღონისძიებები, ტრენინგები და გაცვლითი პროგრამები; უნივერსიტეტმა აამაღლოს თანამშრომელთა ცნობადობა არსებული ბენეფიტების შესახებ (დაზღვევა, საბანკო მომსახურება, მობილური პაკეტები, ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება და აშ.); უნივერსიტეტმა დამატებით ჩაატაროს სიღრმისეული კვლევა (თვისებრივი, ჩაღრმავებული ინტერვიუს საშუალებით) თანამშრომელთა კარიერული ზრდის მოთხოვნილებებთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი გახდეს თანამშრომელთა პოტენციალის უკეთ გამოყენება.

პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეების გაცნობამ და ინტერვიუებმა უჩვენა, რომ სამაგისტრო პროგრამის განმახორციელთა უმრავლესობა არიან საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერები, რომელთაც არ უდასტურდებათ სამეცნიერო კველითი უნარ-ჩვევები და არ აქვთ გამოქვეყნებული პუბლიკაციები. თვითონ პროგრამის ხელმძღვანელს, ახალი მოპოვებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია **მომავალ მკვლევარების მომზადება სამთო ტურიზმის მენეჯმენტში,** რაც კიდევ უფორ ზრდის პროგრამის განმახორციელებელთა მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს მოეთხოვებათ სამაგისტრო კველვის განხორცილება 30 კრედიტის მოცულობით.

შესაბამისად, დაწესებულებას დასჭირდება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად, კვლევის სათანადო უნარის და შესაბამისი კვალიფიკაციის (დოქტორის აკადემიური ხარისხი) მქონე პროფესორების მოწვევა. ინტერვიუს დროს გამოვლინდა აგრეთვე, რომ პროგრამის განმახორციელებლების ნაწილს გააჩნია კარგი პროფესიული გამოცდილება, მაგრამ მათ აკლიათ აკადემიური გამოცდილება. აღნიშნული ძირითადად უკავშირდება პროგრამის, სილაბუსების შემუშავებას. მაგალითად, სასწავლო კურსის მიზნების და სწავლის შედეგების ფორმულირება; სწავლა/სწავლების და შეფასების ფორმების შერჩევა და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები • სამთო ტურიზმის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები • პერსონალის მართვის პოლიტიკა • სტრატეგიული გეგმა • პერსონალის პირადი საქმეები • აფილირების წესი • მონაწილეობა Erasmus + -ის ფარგლებში დაფინანსებულ ორწლიან პროექტში „Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units / HERD • კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა დამტკიცებული კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ • ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პესონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები • ინტერვიუ პერსონალის დეპარტამენტთან, ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: • სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პროგრამის განამხორციელებელი პერსონალის გაძლიერება კვლევის გამცდილების და შესაბამისი კვალიფიკაციის (დოქტორის აკადემიური ხარისხი) მქონე პირებით.
რჩევები: • დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნულ პროგრამაში ჩართული პერსონალის ტრენინგი სასწავლო კურსის მიზნების და სწავლის შედეგების ფორმულირების, სწავლა/სწავლების და შეფასების ფორმების შერჩევის და ა.შ. შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

დაწესებულებას გააჩნია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმალური რაოდენობის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა.

ამ წესის თანახმად განსაზღვრულია შემდეგი სამიზნე ნიშნულები: აფილირებული აკადემიური პერსონალის ფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან უნდა იყოს არანაკლებ 1/20-თან, იგივე თანაფარდობა მხოლოდ აკადემიურ პერსონალთან უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1/10-ს. ხოლო აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტების რაოდენობასთან უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1/70-ს, ხოლო აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის თნაფარდობა პროგრამის სტუდენტებთან უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1/15.

ტურიზმის საბაკალავრო და სამთო ტურიზმის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ზემოაღნიშნული ნიშნულები დაწესებულების მიერ დაცულია. კერძოდ, ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა შეადგენს 32-ს. მათ შორის 24 არის მოწვეული ლექტორი, ხოლო 8 აკადემიური პერსონალი. განმახორციელებელი აკადმიური პერსონალიდან 1 პროფესორია, 3 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი (მაგისტრის ხარისხი), 2 მაგისტრი და 1 ბაკალავრი. მოწვეული პერსონალიდან 21 გააჩნია მაგისტრის ხარისხი და 3 არის ბაკალავრი. პროგრამის განმახორციელებლებისგან დოქტორის ხარსხი გააჩნია 3 აკადემიურ პერსონალს.

სამთო ტურიზმის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას ემსახურება 14 განმახორციელებელი პერსონალი. მათ შორის 3 აკადემიური და 11 მოწვეული პერსონალია. აკადემიური პერსონალიდან 1 აფილირებული და 2 ასოცირებული პროფესორია (ასოცირებული პროფესორები მაგისტრის ხარისხის მატარებლები არიან, თუმცა, მათი არჩევა პროფესიული ნიშნით, განხორციელდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 35 მუხლის მოთხოვნების დაცვით). 11 მოწვეული პერსონალიდან 6 არის ბაკალავრი, და 9 მაგისტრი. პროგრამის განმახორციელებლი პერსონალიდან მხოლოდ ერთი ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემა გახდეს სამაგისტრო კვლევების საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური ხელმძღვანელებით უზრუნველყოფისათვის.

პროგრამებზე (საბაკალავრო, სამაგისტრო) მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია თითო ჯგუფით 15 სტუდენტის ოდენობით, რისთვისაც დაწესებულებას ამჟამად საკმარისი პერსონალი ჰყავს. თუმცა, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლება უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის აფილირებული და აკადემიური პერსონალის მიერ.

აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი არეგულირებს კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას, საათობრივი დატვირთვის განაწილების წესს და მათი დატვირთვის სქემას, რომელიც რეგულირდება კავკასიის

უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული „აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი“-ს შესაბამისად.

კავკასიის უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჯამური კვირეული დატვირთვა (ყველა საქმიანობაზე და მათ შემადგენელ ცალკეულ კომპონენტებზე) არ აღემატება საქართველოს შრომის კოდექსით დაშვებულ ნორმას - მაქსიმუმ 40 საათს კვირაში. აკადემიური პერსონალის დატვირთვა განსხვავებულია ხელშეკრულების ტიპებიდან გამომდინარე. მაგალითად, A1 ტიპის ხელშეკრულებით (აფილირებული პერსონალი) აყვანილი კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წლიური სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება 1840 საათით (40 საათიანი სამუშაო კვირის პირობებში, შრომის კოდექსის შესაბამისად შვებულების, დასვენებისა და უქმე დღეების გათვალისწინებით). ამ ტიპის ხელშეკრულებით დასაქმებული ვალდებულია კვირაში მინიმუმ 40 საათის სამუშაო შეასრულოს უშუალოდ კავკასიის უნივერსიტეტის კამპუსში. ამასთან, საათების 55% ეთმობა სასწავლო პროცესს, ხოლო დარჩენილ 45%-ს კვლევით, აკადემიურ და საკონსულტაციო/ადმინისტრაციულ აქტივობებს შორის ანაწილებს სკოლის ადმინისტრაცია.

A2 ტიპის ხელშეკრულებით (სრულ განაკვეთზე დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალი) დასაქმებული აკადემიური პერსონალის მაქსიმალური კვირეული სალექციო დატვირთვა შეადგენს არაუმეტეს 15 საათს.

A4a, A4b, B, C1 და C2 ხელშეკრულებებით დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაქსიმალური კვირეული სალექციო დატვირთვა კავკასიის უნივერსიტეტში შეადგენს არაუმეტეს 18 საათს. ასეთი ტიპის ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის დროს, კავკასიის უნივერსიტეტი ითვალისწინებს მათს სალექციო საათობრივ დატვირთვას ყველა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისე, რომ ზღვრული სალექციო საათობრივი დატვირთვა ყველა უსდ-ში ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 30 საათს. გადაჭარბების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მომდევნო სემესტრში მას შეუმციროს კვირეული აკადემიური დატვირთვა.

დაწესებულებას გააჩნია ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელოვან დაფინანსებას აკადემიური პერსონალის ტერნინგების, პროფესიული განვითარების და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, რაც ხელს შეუწყობს საგანამანათლებლო პროგრამების მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის ხელშეკრულებები
- ტურიზმის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სამთო ტურიზმის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესი
- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია
- ინტერვიუ პერსონალის დეპარტამენტთან, ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- დაწესებულების ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლება უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის აფილირებული და აკადემიური პერსონალის მიერ;

რჩევები: •
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები გამჭვირვალე და სამართლიანია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განთლების აღიარებას არეგულირებს კავკასიის უნივერსიტეტის „დებულება სტუდენტის სტატუსის შესახებ“. დოკუმენტი ნათლად აღწერს ყველა პროცედურას და დეტალურია, თუმცა მისი მოძიება ვერ მოხერხდა დაწესებულების ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია უნივერსიტეტის პოტენციური სტუდენტებისთვის, როგორიცაა რეგისტრაციისთვის საჭირო საბუთები, სწავლის საფასური და სხვ. მისასალმებელია ასევე დეტალური გზამკვლევი, რომელიც მომზადებულია უცხოელი პოტენციური სტუდენტებისთვის და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას როგორც კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე საქართველოს შესახებ, ინფორმაცია საცხოვრებლის, ტრანსპორტის და სხვა საკითხების შესახებ, რაც სჭირდება უცხოელ სტუდენტებს. უნივერსიტეტის სტრუქტურაში, სტუდენტების უფლებების დაცვის მიზნით, წარმოდგენილია ომბუდსმენის ოფისი, თუმცა ტურიზმის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას არ დადასტურდა მათი ინფორმირება ომბუდსმენის ოფისის და მისი ფუნქციების, ასევე ადმინისტრაციული საკითხების გასაჩივრების პროცედურის არსებობის შესახებ. სტუდენტებმა

აღნიშნეს, რომ შეუძლიათ გაასაჩივრონ მიღებული შეფასება, თუმცა არ უსარგებლიათ გასაჩივრების პროცედურით.

სტუდენტის ხელშეკრულება საკმაოდ დეტალურად აღწერს სტუდენტის უფლება-მოვალეობებს, თუმცა ექსპერტების დაკვირვებით, ხელშეკრულებაში არ არის აღნიშნული გამოცდების გადაბარების საფასური, რომელიც, როგორც დადასტურდა ინტერვიუების მსვლელობისას, არსებობს. რაც შეეხება უცხოელი სტუდენტების ხელშეკრულებას, ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი პუნქტი, რომელიც ასახავს სტუდენტის უფლებას ისარგებლოს რეიტინგული სტუდენტების დაფინანსების წესით. სასურველია, აღნიშნული დაზუსტდეს ხელშეკრულებაში, სტუდენტების ინფორმირებისა და გამჭვირვალობის მიზნით.

სტუდენტები ვერ ასახელებენ, თუ ვინ გააცნო მათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუების თანახმად, აღნიშული ფუნქცია ეკისრება პროგრამის მენეჯერებს. სტუდენტის ხელშეკრულება ხელმისაწვდომია სტუდენტის ელექტრონულ სასწავლო ბაზაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დებულება სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუშები;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება მათი უფლებების, ისევე როგორც უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ;
- უცხოელი სტუდენტების ხელშეკრულებაში, სასურველია აისახოს სტუდენტთა უფლება, ისარგებლონ უნივერსიტეტის დაფინანსებით, როგორც ეს არის განსაზღვრული ქართველი სტუდენტების ხელშეკრულების შემთხვევაში. ამასთან, ორივე ხელშეკრულებაში აისახოს გამოცდის გადაბარების ღირებულება.

რჩევები:

- სასურველია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესები იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორც ამას მოცემული სტანდარტის კომპონენტი მოითხოვს;

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

კავკასიის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან მხარდამჭერ ღონისძიებებს, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც კონსულტაციები აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის, ისე კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტი მათ სთავაზობს საერთაშორისო ღონისძიებებს, გაცვლით პროგრამებს, კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას, მათ შორის დაფინანსებას, რაც ნამდვილად კარგი პრაქტიკაა. კავკასიის უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა კვლევითი პროექტების დაფინანსების სისტემა, ამასთან, აკადემიური პერსონალი, უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტის განხორციელებაში ვალდებულია ჩართოს სტუდენტიც.

სტუდენტებისთვის იმართება დასაქმების ფორუმები, სხვადასხვა ვორკშოპები, კურსდამთავრებულებს მიეწოდება ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. საერთო ჯამში, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმები, ადამიანური რესურსი და გამოცდილება.

ამის მიუხედავად, ტურიზმის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა ინტერვიუს მსვლელობისას გამოთქვეს სურვილი, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ მეტი პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ უშუალოდ სწავლის დასრულების შემდეგ, სამუშაო გარემოში დასჭირდებათ.

სტუდენტებს ინფორმაცია გაცვლითი პროგრამებისა თუ დასაქმების შესაძლებლობების შესახებ მიეწოდებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კულტურულ, ინტელექტუალურ, სოციალურ თუ სპორტულ აქტივობებში. კავკასიის უნივერსიტეტი ინარჩუნებს კავშირს კურსდამთავრებულებთან და ზრუნავს მათი კარიერის განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ასევე არ დადასტურდა მათ მიერ საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება, სერვისების შეფასება არ არის აღწერილი არც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიმზების დოკუმენტში, გამოკითხვები კი მოიცავს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტუდენტური ცხოვრების შეფასებას. სტუდენტებმა, ინტერვიუს მსვლელობისას გამოთქვეს სურვილი, შეეფასებინათ მათთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა სერვისი და მხარდამჭერი ღონისძიებები, ასევე, მათი გამოკითხვის შედეგების - ძირითადი მიგნებების გაცნობის პრაქტიკის დანერგვის. ექსპერტთა

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს მიდგომა კიდევ უფრო გააუმჯობესებს სტუდენტური მხარდაჭერის სერვისებს უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა დაფინანსების მექანიზმი, რომელიც მოიცავს რეიტინგული სტუდენტების დაფინანსების წესს, სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი ასევე ადასტურებს სტუდენტთა სხვადასხვა შეღავათების დაწესებას, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. თუმცა, კვლავ, აღნიშნული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- **კავკასიის უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები;**
- **უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;**
- **უნივერსიტეტის სტრუქტურა;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

რეკომენდაციები:

რჩევები:

სასურველია, დაწესებულებამ დანერგოს სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი სერვისებითა და მხარდაჭერის ღონისძიებებით მათი კმაყოფილების შეფასების სისტემა, ასევე უკუკავშირის მექანიზმი სტუდენტებისთვის შედეგების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში და ხელს შეუწყობს სერვისების მუდმივ გაუმჯობესებას.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში სამი პრიორიტეტია განსაზღვრული. ერთ-ერთი პრიორიტეტია: სამეცნიერო კველევების იტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა. მისიაში აქცენტი კეთდება იმ ფაქტზე, რომ კავკასიის უნივერსიტეტი კვლევაზე ორიენტირებულია. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სკოლებისა და კვლევითი ერთეულების, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ინდივიდუალურ კვლევით ინიციატივებს. კვლევების წახალისების მიზნით შეიქმნა კვლევების ხელშემწყობი დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა კავკასიის უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის წახალისება, ხელის შეწყობა და კოორდინირება. მოქმედებს კვლევების შიდა დაფინანსების სისტემა და სამიზნე ჯგუფებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სამეცნიერო პროექტების შესახებ. კვლევების ხელშემწყობი დეპარტამენტი ურთიერთობს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან და ეხმარება აკდემიურ პერსონალს მონაწილეობა მიიღონ საგრანტო კონკურსებში. კვლევების ხელშემწყობი დეპარტამენტი აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის გაძლიერების მიზნით გეგმავს თემატურ ღონისძიებებს. მოქმედებე სსტრატეგიული განვითარების გეგმის და სამოქმედო გეგმის მიხედვით. მუდმივად აწვდის ინფრომაციას მიმდინარე პროექტების შესახებ. ატარებს ტრენინგებსა დ ასაორიენტაციო შეხვედრების სამეცნიერო ბაზების მოხმარებათან დაკავშირებით. დეპარტამენტის ხელშეწყობით ხორციელდება 16 პროექტი და 2000 წლიდან დღემდე განხორციელებულია უმარავი სხვადასხვა სახის კვლევითი პროექტები. 2018-2019 წლიური ანგარიშის მიხედვით კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის ინიციატივით. კვლევის ხელშეწყობის გაძლიერების მხრივ: უნივერსიტეტის მმართველმა საბჭომ დაამტკიცა კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების პროცედურა და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყო დაფინანსება კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისთვის. სკოლების აკადემიურ პერსონალს, ასევე მაგისტრანტებს და დოქტორანტებს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად შესაძლებლობა ექნებათ წარმოადგინონ კვლევითი პროექტები დაფინანსების მისაღებად. კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტმა უზრუნველყო კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების ერთიანი ბაზის შექმნა. დეპარტამენტის ხელშეწყობით ჩატარდა კავკასიის შიდა სასკოლო სტუდენტური კონფერენციები; მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018; მომზადდა პროგრამული აკრედიტაციის კვლევით სტანდარტებთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. 2018-2019 წლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ

ადმინისტრირებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსდა 5 პროექტი, მათ შორის 2 ფუნდამენტური კვლევა.

უნივერსიტეტის გამოყენებული კვლევების კომერციალიზაციის კუთხით თანამშრომლობს სხვადსხვა დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტებთან. კავკასიის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტარტაპ აქსელერატორი C10, რომელიც სკოლების აკადემიურ პერსონალთან ერთად სტარტაპერებს საჭიროების მიხედვით უწევს კონსულტირებას და მენტორობას.

კავკასიის უნივერსიტეტს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები. კერძოდ სადოქტორო სწავლების საფეხურზე კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29 30, 31, 32, 33, 34, 35 მუხლებით რეგულირდება სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურები ბიზნეს სკოლაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კავკასიის უნივერსიტეტის მისია და ხედვა;
- კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა;
- კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;
- მიმდინარე და განხორციელებული კვლევითი პროექტები';
- კვლევართა სამეცნიერო ნაშრომების კრებული;
- საუნივერიტეტო სამეცნიერო კონფერენციები;
- სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები;
- დოკუმენტი ეკონომიკური აგენტებთან თანამშრომლობის შესახებ;
- უსდ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი აქტივობა: https://cu.edu.ge/survey/publications/prof-publications; https://cu.edu.ge/survey/projects; https://cu.edu.ge/survey/conferences;
- კვლევითი დეპარტამენტი წლიური ანგარიშები: https://cu.edu.ge/about-us/about-the-university/cu-annual-report.

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
უნივერსიტეტს აქვს შექმნილი კვლევითი დეპარტამენტი, რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით საქმიანობას. 2017-2018 აკადემიური წლის განმავლობაში, დეპარტამენტის მუშაობის შედეგად, უნივერსიტეტს შეემატა 21 ახალი პარტნიორი უნივერსიტეტი მსოფლიოს 19 ქვეყნიდან. თანამშრომლობის ხელშეკრულება განახლდა ოთხ უნივერსიტეტთან. ერაზმუსის + მობილობის პროექტის ფარგლებში დეპარტამენტს დაემატა 4 ახალი პარტნიორი საფრანგეთიდან, თურქეთიდან, ესპანეთიდან და პოლონეთიდან 2018-2019 წლებში დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს დაახლოებით 30 სახის ღონისძიებაში-კონფერენციებში, 5 საერთაშორისო გამოფენაში, 5 საერთაშორისო კვირეულში, რომლებიც ჩატარდა ერაზმუსის პარტნიორ უნივერსიტეტებში: საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიასა და თურქეთში. გარდა ამისა, მასპინძლობა გაეწია 22 უცხოელ სტუმარს. ამავე პერიოდში დეპარტამენტმა ხარისხის ცენტრში გააგზავნა მოთხოვნა და სრულად დაარეგისტრირა 115 პარტნიორი უნივერსიტეტის ხელშეკრულება. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას, კერძოდ ეხმარება საერთაშორისო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებაში და ხელს უწყობს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორის კონფერენციებსა და გაცვლით პროგამებში. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი ამოცანა უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია. ამ მხრივ ტურიზმის სკოლას სხვადასხვა სახის ღონისძიებები აქვს დაგეგმილი და განხორციელებული. კერძოდ კავკასიის ტურიზმის სკოლა თანამშრომლობს საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან. აღნიშნული სკოლის აკადემიური პერსონალი მოანწილეობს მიმდინარე საგრანტო პროექტებში, ასევე აქვეყნებს პუბლიკაციებს საერთაშორისო ჟურნალებში და მონაწილეობას იღებს კონფრენციებში რაც დასტურდება სკოლის სამეცნიერო ანგარიშებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა • უნივერსიტეტის ბიუჯეტი • უნივერსიტეტის ვებ გვერდი კვლევითი სამიქნობის წლიური ანგარიშები; • კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები; • ტურიზმის სკოლის სამეცნიერო ანგარიშები.
რეკომენდაციები:
რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
კავკასიის უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი. შეფასების (მათ შორის კვლევების შეფასების) პოლიტიკა გაწერილია პერსონალის შეფასების პროცედურის დოკუმენტში, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და ეფექტიანობის შეფასების წესში (განახლება (ბრ.#07/01-17 07/09/2019) . ამ წესი მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის მიხედვით აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იყენებს ინდიკატორებს. არნიშნიშნული ინდიკატორების საშუალებით პერიოდულად ხორციელდება მთლიანად უნივერსიტეტის და სკოლების მიხედვით სამეცნიერო პოტენცილის შეფასება. შეფასების შედეგების საფუძელზე ხდება რეაგირება. კავკასიის უნივერსიტეტის კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი ყოველწლირად აქვეყნებს ანგარიშებს განხორციელებული კვლევებისა და სამეცნიერო აქტივობების შესახებ, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და ეფექტიანობის შეფასების წესი; • განხორციელებული კვლევების შესახებ წლიური ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
კავკასიის უნივერსიტეტი 2018 სასწავლო წლიდან საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, პაატა საკაძის N1-ში. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11.179 კვ.მ. საიდანაც 5.021 კვ.მ. არის სასწავლო ფართი. ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა). არსებობს კომპიუტერული ლაბორატორიები და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საჯარო რეესტრიდან ამონაწერი (შიდა აზომვითი ნახაზით); • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით - სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარით; • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:

რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ დაინტერესებული პირები ინფორმირებული არიან ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ გამოცდების პერიოდში ბინლიოთეკა გადატვირთულია და სტუდენტებს ხშირად უწევთ რიგში დგომა. შესაბამისად, სასურველია საბიბლიოთეკო სივრცის გაფართოება რათა საგამოცდო სესიების პერიოდში სტუდენტებს მიეწოდოთ შეუფერხებელი მომსახურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ბიბლიოთეკის კატალოგში რეგისტრირებული წიგნადი ფონდით; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით - სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარით; • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები: • სასურველია საბიბლიოთეკო სივრცის გაფართოება რათა საგამოცდო სესიების პერიოდში სტუდენტებს მიეწოდოთ შეუფერხებელი მომსახურება.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია უნივერსიტეტის მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- მართვის ელექტრონული სისტემა;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

პროგრამების ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს.
პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება მინიმალური სტუდენტთა რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის

სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ხორციელდება ცვლილების შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება.

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის თანახმად, ინტენაციონალიზაცია წარმოადგენს სამი სტრატეგიული მიზნიდან ერთ-ერთს, თუმცა პროგრამის ბიუჯეტში, ინტერნაციონალიზაციის ხარჯები გაწერილია „პროგრამის განვითარება აკრედიტაცია ინტერნაციონალიზაციის ხარჯებში“ და ის არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ხარჯვით ერთეულს.

შესაბამისად, მიზანშეწონილია ინტერნაციონალიზაციის ხარჯები მკაფიოდ უნდა იყოს ასახული, როგორც უნივერსიტეტის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს და საგანამანათლებლო პროგრამების ბიუჯეტები
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, ფინანსურ სამსახურთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია როგორც უნივერსიტეტის, ასვე, სგანამანათლებლო პროგრამების ბიუჯეტებში მკაფიოდ განისაზღვროს ინტერნაციონალიზაციის აქტივობები.

რჩევები:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან